



1974 წ. № 75 (5105) 16 აპრილი, სამხრეთი, ვსსი ს კაპ.

საპარტვილო სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

ქართული ზეარტელისი

სურათზე: კალათბურთელთა 41-ე საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებული ცხეა-ს გუნდი. მარცხნიდან — ქვედა რიგში — ი. ედემო, ს. ბელოვი, ს. იასტრეხოვი, ვ. მილოსერდოვი; ზედა რიგში — ვ. აკიმოვი, ნ. კოვირკინი, ე. კოვალენკო, ნ. ლიჩინკო, ა. ჟარმუხამედოვი, ვ. ვიტკოლოვი, ბ. ლუნენკო და ვ. პეტრაკოვი.

ნ. ნაუმენკოვის ფოტო. (საკელსი).

საპარტვილო-74

გოსტონი, 14 აპრილი. ტრადიციული, რიგით 78-ე „ბოსტონის მართონი“ მოიგო კანადელმა ჯ. ლარიტონმა, რომელმაც 42 კმ და 195 მ 2 საათში, 13 წუთსა და 30 წამში გაიბრინა. ამ პოპულარულ საერთაშორისო შეჯიბრებაში სტაიერთა სარეკორდო რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა: სტარტზე 2 ათასამდე მძლეოსანი გამოვიდა. ამერიკელთა გარდა, მართონში კიდევ 17 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ შორის — 38 ქალი.

ბელზრადი, 14 აპრილი. სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა იუგოსლავიის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში II ადგილი დაიკავა: შეჯიბრების ბოლო დღეს უაღრესად ძნელი მატჩი მოუგო მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდს — ნ:ა (1:1, 3:1, 2:1, 0:2). საბჭოთა ნაკრებმა 4 ქულა დააგროვა. I ადგილზეა უნგრეთის ეროვნული გუნდი — 6 ქულა. III ადგილი იუგოსლავიის წყალბურთელებმა დაიკავეს, ხოლო სატურნირო ცენტრის ბოლო სტრუქტურაზე პოლონეთის ნაკრები აღმოჩნდა.

ბაშაენი, 14 აპრილი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირმა. ერთეულთა თანრიგებში ყველას აჯობეს მოსკოველმა ა. გოლოვმა და კიეველმა მ. კროშინამ. ვოლოკოვა ფინალში თანაქალაქელ ვ. კოროტკოვს სძლია (4:6, 6:3, 7:5, 6:2), ხოლო კროშინამ — მოსკოველ ე. გრანატუროვს (6:4, 7:5). III ადგილებზე გავიდნენ კ. პუგაევი (მოსკოვი) და ე. კომაროვა (ტალინი).

რიმა, 14 აპრილი. ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში — „ქარვის ციგურები“ ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენებმა ოთხი პრიზიდან სამი მოიპოვეს. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, დასავლეთ გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებიც. წყვილთა სრი-ალში გაიმარჯვეს მოსკოველებმა მ. ზელენეცკიამ და ვ. გრუშინამ, ყინულზე სპორტულ ცენტრში — ასევე მოსკოველებმა მ. ზუგუამ და ა. ვიტკანამ. ერთეულთა სრიალში ქალთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა ლენინგრადელი სტუდენტი ა. კორნევა, ხოლო ვაჟებში — 17 წლის მიუნხენელი მოსწავლე თ. ნიდერი, რომელმაც შეჯიბრების უმაღლესი შეფასება (5,6 ქულა) დაიმსახურა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნიდერი პირველად გამოვიდა „ყინულის ფიგურის-ტო“ შეჯიბრებაში. აქამდე იგი ცნობილი იყო, როგორც გორგოლაჭებიანი ციგურების ოსტატი. ლენინგრადელმა ა. მაიოროვმა გერმანელზე უკეთესად „და-სატა“ საგადაბურთო ფიგურები, მაგრამ ნებისმიერ პროგრამაში აშკარად ჩამორჩა და 11 ადგილზე დარჩა.

რაბათი, 14 აპრილი. აქ მიმდინარე ტრადიციულ მრავალდღიან საერთაშორისო ველორბოლა „ტურ დიუ მაროკში“ ოთხი ეტაპის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა ველოსპორტისტი ა. იაკობსონი.

ალმა-ატო, 14 აპრილი. საბჭოთა ქვეყანაში პირველად გათამაშებული ჩემპიონის ოქროს მედალი 1000 მეტრზე ციგურებით სწრაფობაში ხვდა ი. მურატოვს (მოსკოვის ოლქი), რომელმაც დღეს მიღეს მაღალმთიან საციგურა-ოზე შემოადინებული მანძილი 1 წუთსა და 18,26 წამში დაფარა. მას 0,28 წამით ჩამორჩა ამ მანძილზე მსოფლიო რეკორდსმენი ა. საფრონოვი. საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი ს. რიაბეცს ხვდა — 1:18,97.

მთელი სააპრიო კვარცხლბაქი საბჭოთა იყო

სტამბული, 14 აპრილი. მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში რაპირისტ ქალთა შეჯიბრების შემდეგ საბატიო კვარცხლბეის სამივე საფეხურზე საბჭოთა მოფარკავეები ავიდნენ. ოქროს მედალი მოიხვეჭა მოსკოველმა ვ. სიდოროვამ (ბურჯინა), ვერცხლი-სა — ყაზანელმა ო. კნიაზევამ, ბრინჯაოსი — მინსკელმა ი. პავლენკომ. ფინალში, სადაც საბჭოთა მოფარკავეებს გდრ-ის წარმომადგენელი უ. ლორენცი, რუმინელი მ. ბარტოლი და უნგრელი ე. კოვარი უწევდნენ მეტოქეობას, სიდოროვამ ბრწყინვალედ იასპარეზა და ხუთივე ორთაბრძოლა მოიგო. სამ შეხვედრაში გაიმარჯვა კნიაზევამ, ხოლო ორში — პავლენკომ. ჩემპიონატში 28 სახელმწიფოს 250 სპორტსმენი მონაწილეობს.

ამას წინათ კიევში ჩატარდა მოსწავლეთა საკავშირო პირველობა ფარიკაობაში, სადაც ჩვირებს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, როგორც ცნობილია, საერთო გუნდური II ადგილი დასაკუთრეს. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს რაპირისტმა ვაჟებმა, რომლებიც საბატიო კვარცხლბეის პირველ საფეხურზე ავიდნენ. აი, ისინი, ვინც ვაჟახელა: მარცხნიდან — მ. გუგუშვილი, რ. გიორგაძე და ვ. აბაშიძე. მ. ზარგარიანის ფოტო.



კალათბურთი — კალათბურთი

თასი — მეთოთხმეტედ * ჯილდო იტალიელებს ხვდათ

კლემენტ-შპანი, 13 აპრილი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ვათამაშების პირველი ფინალური მატჩი რიგის ტტტ-სა და საფრანგეთის ჩემპიონს „კლემენტ-ფრანს“ შორის, რომელიც ამას წინათ ლატვიის დედაქალაქში ჩატარდა, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის კალათბურთელმა ქალებმა მოიგეს — 96:67 (47:34). დღეს გამართა ამ გუნდების განმეორებითი ფინალური შეხვედრა. რიგგელებმა სტუმრულად კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 69:53


(34:24). ტტტ-მ მეთოთხმეტედ მოიპოვა ეს საბატიო თასი. ბელზრადი, 13 აპრილი. პოპულარული იუგოსლავიელი კალათბურთელის რ. კორაჩის სსოფლისადა მიძღვნილ ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ევროპის ქვეყნების ცნობილმა კლუბებმა. ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ იტალიელები (ქალაქ კანტუს „ფორსტა“) და იუგოსლავიელები (ბელგრადის „პარტიზანი“). პირველი მატჩი, რომელიც იტალიაში ჩატარდა, მასპინძლების უპირატესობით აღინიშნა. „ფორსტა“

დამარცხა მეტოქე ანგარიშით 99:86. საპასუხო შეხვედრა გამართა ბელგრადში, მაგრამ იტალიელთა უპირატესობა ამჯერადვე საგრძობი იყო. „ფორსტა“ ისევ გაიმარჯვა, ამჯერად ანგარიშით 75:68 (აღსანიშნავია, რომ ერთ მომენტში სტუმრები წინ იყვნენ მთელი 18 ქულით) და საბატიო თასიც მოიპოვეს. მეორე ფინალურ შეხვედრაში შედეგიანი თამაშით თავი გამოიჩინეს: იტალიელები — ფარინამ (გუნდს 18 ქულა შესძინა), მარკორანი (16) და ლენკარდამა (14), იუგოსლავიელებში — დალიპაგიჩამა (23) და კიჩანოვიჩამა (22).

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

საასპი — პარკოვი 1,5:0,5

შაბათს ლენინგრადში დამთავრდა ტადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ბ. სპასკისა და ა. კარპოვის ნახევარფინალური მატჩის I პარტია. სპეციალისტების აზრით, კარპოვს გადადებულ პარტიაში უარესი პოზიკია ჰქონდა. თამაშის განახლებისას სპასკიმ გადააგდო თავისი ფიგურები და აიძულა მეტოქე კუ ორ პაიკში გაეცალა. სპასკიმ ზედმეტი ხარისხი შეიტანა. შემდგომ მან ისეთი პოზიკია შექმნა, რომ კარპოვი ლაზიერების გაცეცხლს თავს ვერ აარილებდა, ულაზიერებოდ კი მისი პოზიკია უიმედო გასდებოდა. ამიტომ 63-ე სვლაზე კარპოვი დანებდა. გთავაზობთ I პარტიის დაბოლოებას.



პარკოვი 41. ... ლე2 (ჩაწერილი სვლა) 42. ლდ5 ლფ5 43. ლნ6 ლდ7 44. ლგ6 გე7 45. ლნ6 ლბ7 46. ლა4 გე4 47. ლბ3 გს4 48. ლნ6 გს2 49. გვ3 გს6 50. ლნ6+ გფ7 51. ლნ3 გნ6 52. ლნ5 ლნ7 53. ლნ4 ლდ7 54. მფ5 გნ6 55. გნ6 გნ6 56. გვ3 ლდ3 57. მფ4 გფ7 58. მფ5 გდ7 59. ლნ5 გდ4 60. ლნ7 გნ6 61. ლნ5 გნ4+ 62. გფ7 ლდ1+ 63. გფ2 ლდ4+. თეთრები დანებდნენ. გუშინ გამართული მეორე პარტია ყამით დამთავრდა.

სპორტის ინტერესების სპონსორდამდგომად

შენიშნა, 13 აპრილი. შვეიცარიის ქალაქ ბილში გამართულ სხდომაზე ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფ-ი) დირექტორთა საბჭომ, სპორტის ნამდვილი ინტერესების საწინააღმდეგოდ, ხმების უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ სპორტულ ტანვარჯიშში მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი ბულგარეთიდან სხვა ქვეყანაში გადაიტანონ. ამ გადაწყვეტილების მოტივად

მოყვანეს ასპარეზობის ბულგარეთის საორგანიზაციო კომიტეტის უარი აპარტიდის ქვეყნის — საშრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდის მიწვევაზე. როგორც ხედავთ, რასის ტებს მფარველები გამოუჩნდნენ ფიფ-ის ხელმძღვანელ წრეებში. მათმა საქციელმა სამართლიანი პროტესტები გამოიწვია მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებრიობაში. სსრ კავშირისა და უნგრეთის წარმომადგენლები ლირექტორთა საბჭოში ჩემპიონატის სხვა ქვეყანაში გადაიტანის ადინიშნეს, რომ ეს გადაწყვეტილება შეჯიბრებას ჩაშლის საფრთხეს უქმნის. ტანვარჯიშის 15 ეროვნულმა ფედერაციამ უკვე იგივე აზრი გამოთქვა: თუ ჩემპიონატი სხვა ქვეყანაში ჩატარდება, ჩვენს სპორტსმენებს საასპარეზოდ არ გავგზავნივთ.

საბჭოვე წამოჭრილი იყო საქითი, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა შემდგომში არ შეიძლება ფიფ-ის წევრად დარჩეს. ამასთან აღინიშნა, რომ რასისტული პოლიტიკის გატარებისთვის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა გაირიცხა ბევრი საერთაშორისო სპორტული ფედერაციიდან, რომ ამ ქვეყნის წარმომადგენლებს არც ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის რიგებში უნდა ჰქონდეთ ადგილი. (საკელსი).

რიგის სარბიელი ღირსეულთ მოაღის

17 აპრილს რიგში სტარტს აიღებს სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ტურნირში დაიშვებიან ის ათლეტები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სპორტსაზოგადოებრივი და უწყებათა პირველობებში და, ასე ვთქვათ, პირდაპირ მოაპოვეს დასვენების ეტაპზე ასპარეზობის უფლება.

ამ მხრივ რიგის ჩემპიონატი საგულბისა ჩვენი რესპუბლიკის ათლეტებისთვის, ვინაიდან საპატიო ჯილდოებისთვის პირდაპირ დასვერდება 25-მდე მოჭიდავე. ეს საბაზს გაძღვებს ვიფიქროთ, რომ საქართველოს წარუვლეს გაცილებით დიდი საბრტული ნაღვლი ვერგება, კიდრე შარშან (როგორც ცნობილია, შარშან ტალინის საკავშირო ჩემპიონატი ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებმა ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი მიიღეს).

რატომ ვაძლევთ თავს ასეთი ოპტიმისტური დასკვნების გამოტანის უფლებას? ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბოლო წლებში საგრძობად აღმართა რესპუბლიკის „კლასიკოსთა“ შედეგებით წინა საკავშირო სარბიელზე (გახსენებთ შარშანდელი თანხის გათავაშების ან ასალგაზრდელი ტურნირის შედეგებს). მეორე, ნაკრები გუნდი შეიქმნა პერსპექტიული ახალგაზრდებით და მწვრთნელებს, ასე ვთქვათ, თავისუფალი მანიპულაციების მეტი საშუალება აქვთ. მესამე, და რაც მთავარია, მოჭიდავეებმა ირწმუნეს თავიანთი ძალა, შესაძლებლობანი. ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს „დიდ ხალიჩას“ მებრძოლთათვის.

ახლა გადავიხედოთ ცალკეულ წონის კატეგორიებს და იქ მოასპარეზე ჩვენს ოსტატებს. მაგალითისთვის

ავიღოთ 74 კგ წონითი კატეგორია. მსოფლიოს ჩემპიონს ახალგაზრდებს შორის თ. ლევაგას ჩვენი მთავარი კონკურენტებიც გამარჯვების ერთერთ ფავორიტად მიიჩნევენ. ტურნირის მსვლელობაში ბევრი მოულოდნელი რამ შეიძლება მოხდეს და კველასე საიმედო პროგნოზიც კი არ გამართლებს, მაგრამ ამაზე რთვი გვაქვს ლაპარაკი. ლევაგა მართლაც შეიძლება გახდეს ჩემპიონი, შეიძლება, ამა თუ იმ მიზეზით ხელი შეუცარიოს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგი ობიექტურად ითვლება ფავორიტად.

ლევაგას გარდა ამ წონაში კიდევ ორი ქართველი ათლეტი იასპარეზებს — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ს. ბერიშვილი და თ. აფხაზა. ორივე ახალგაზრდა, ჯან-ღუნითი საგვ, ორივეს კარგი მომავალი აქვს და ამ ჩემპიონატს ორივე სამეულში მოხვედრის კონკრეტული გეგმებით ეგებება. ასე რომ, ადგილი შესაძლებელია ამჯერად პროგნოზში გამართლებს.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. მერულიშვილი (62 კგ), რომელმაც ორჯერ უკვე გაუხსნა ვენო ოქროს მედალი, ცხადია, ამჯერადაც უმაღლესი ჯილდოსთვის იბრძობებს. ერთერთ რომელიმე საპირაზო ადგილზე გახვლის დიდი შანსი აქვს ამ წონაში თ. ტატიშვილსაც.

დაასლოებით ანალოგიური მდგომარეობაა 68 კგ წონის კატეგორიაშიც. ბ. ლევაგაშვილი უფრო გამოვლილი მებრძოლია, გ. გოგინძე შედარებით ახალგაზრდაა. ორივე კარგად მოემზადა ჩემპიონატისთვის, ორივე დაწინაურებულია თავის ძალაში და რიგში კონკრეტული გეგმებით გამოეზარება.

სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი თ. მაჭავარიანი (82 კგ) მკითხველთა წინაშე დამატებით ატესტაციას არ საჭიროებს. იგი დიხვი, დაკვირვებული სპორტსმენია, უმიზეზოდ არასდროს აჩქარდება, შეუძლია ასჯერ გასროს და მსოფლიო ასპიშემდეგ გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი. ასეთი თვისებები სპორტში წლები მანიჭლზე ყალიბდება და მაჭავარიანსაც აქვს საკმარისად მიღიარებული დანიშნულება. თ. კიკნაძე ახალგაზრდა ოსტატი, რომელიც თავის უფროს ამხანაგთან ერთად სავაიდა დიდ ძალას წარმოადგენს ამ წონის კატეგორიაში.

თ. ბლიაძე (90 კგ) ბევრს არაფერს ვიტყვი: ეს გვარი ჩვენთვის მუდამ სანიშნო სპორტსმენის, მებრძოლისა და გაყვანის სინონიმია. ბლიაძეს ჩვენს მოჭიდავეთა შორის ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს და თანამედ შეუძლია ეს გამოცდილება სხვებს გაუზიაროს. როგორც მუდამ,

ბლიაძე ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტი იქნება.

მეორე ფავორიტმა ამ წონაში ვ. გოგინძემ თავისი „საბუთები“ ჯერ კიდევ შარშანდელ ჩემპიონატში წარმოადგინა. 11 ადგილი და ვერცხლის მედალი (I ადგილი მსოფლიო ჩემპიონმა ვ. რესანცევმა დაიპყრო) მისი ძალისა და შესაძლებლობების ყველაზე ნათელი დასაბუთებაა.

შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია მ. სალაძე (100 კგ). ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ისიც გოგინძის მსგავსად ფიქრობს. რაც შეეხება ახალგაზრდა ნ. ბაბიაშვილს, მას მომავალი ჯერ კიდევ წინა აქვს. რიგის ჩემპიონატი მისთვის შესაძლოა საშუალოდ საფეხური გამოდგეს უმაღლესი მწვრთნელის მნიშავლ გზაზე. შესაძლოა ბაბიაშვილმა წარუვლეს ალაპარაკოს სპეციალისტები. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა ათლეტის წინაშე ფართო ასპარეზია გადაშლილი.

მომეწონისანთა შორის უპირატეს ფავორიტად, რა თქმა უნდა, შ. მორჩილაძე ითვლება. შარშან მან ოქროს მედალი მიიღო და წარუვლეს მსოფლიო ერთი ამოცანა აქვს დასაბუთებული: შეინარჩუნოს უძლიერების სახელი და ადგილი სსრ კავშირის ნაკრებში. ჩემპიონმა მსოფლიო ჩემპიონაზე უნდა იფიქროს.

6. გუაუპუნილი.

ი ს მ ვ... ღმარინი

კელსინში, 13 აპრილი. დღეს მსოფლიო ჩემპიონატის მეორე წიგნი დაიწყო. ლიგური — ჩეხოსლოვაკიის გუნდი პოლონეთის ნაკრებს ეთამაშა და გაიმარჯვა — 12:3 (4:1, 1:1, 7:1). მე-6 წუთზე მარტინეცმა (ჩეხოსლოვაკია) ახვარში გახსნა, მაგრამ 2 წუთის შემდეგ ვ. ტკარაჩმა გოლი გაკეთა. პირველი პერიოდში ლიგურმა კიდევ სამჯერ მიადრწეს წარმატებას (მარტინეცი, მასარი, ბუბლა).

მეორე პერიოდში შედარებით თანაბრად გახვლო. ჯერ პოლონელმა ობლუმი (მე-5 წუთზე) შეამკირა ანგარიშში სხვაობა, შემდეგ კი მისმა მეტოქემ ნელმანსკიმ კიდევ ერთი შიბა გაიტანა (მე-17 წუთზე, როცა პოლონელმა რიგობრივი უპირატესობა ჰქონდა).

მესამე პერიოდში შიბები გაიტანეს: გამარჯვებულთაგან — ლიგური (მე-4 წუთზე), კობტამ (5), შტაისტიმ (6), ი. პოლიკამ (16), ვეიტამ (18), ფელდმანსკიმ (19), შტაისტიამ (20), ხოლო პოლონელთაგან — კობინსკიმ (8).

მეორე მხედრულში შიბებთან პოკეისტების ჩეტოქე ვადრის ერთგული გუხდი იყო. მატჩის ბედი უკვე პირველ პერიოდში გადაწყდა, რომელიც საბჭოთა ნაკრებმა მოიგო — 7:1. ახვარში შარშანდელმა გახსნა, მეორე კი ხარლამოვი ზედხედ ორი გოლი გაიტანა, რის შემდეგაც გერმანელმა პატრინსკიმ ერთი შიბა გაკეთა. შემდეგ კაპუსტინმა, შარლამოვი, და კვლავ კაპუსტინმა ოთხი შიბა გაიტანეს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ სამბოთა ნაკრების დებუტანტის სერჯი კაპუსტინის („პრილია სოვეტური“) შესანიშნავი თამაში. მან მეორე პერიოდში კიდევ ორი შიბა მოითავსა ნეტოქის კარში და ამ ჩემპიონატის რეკორდი გაიმყარა — ერთ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა.

დასკვნის პერიოდში გერმანელების ენგელმანისა და ჰუმტის ორ შიბას შატალოვმა ერთით უპასუხა. ახვარშია 10:3.

დღეს გათამაშებულ კიდევ ერთი საგანგებო შეხვედრა მოხდა: სალოპინგო შემოწმებისას გამაორკვა, რომ ფინეთის ნაკრების მკვარებს სტოვ ვეტცელს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან შეხვედრაში (მატჩი ფინელებმა მოიგეს — 5:2) მიღებული ჰქონდა ადგილები საშუალება ეფიქრინი. დირექტორატმა თავისი ვალი მოიხადა: ვეტცელს ჩემპიონატის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიეცა, ხოლო ფინელებს ჩეხოსლოვაკელებთან წაგება ჩათვალათ ანგარიშით 0:5. ასე რომ, ჩეხოსლოვაკიის ნაკრები კვლავ ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

კელსინში, 14 აპრილი. დღესაც ორი მატჩი შედგა. შვეიცის ნაკრებმა სძლია პოლონეთის გუნდს — 3:1 (1:0, 2:0, 0:1). ანგარიში მე-6 წუთზე შედგა ოლბერმა გახსნა, ხოლო მეორე პერიოდში ვიგებრმა (მე-2 წუთზე) და ს. კარლსონმა (17) სამაძველ გაზარდეს ანგარიში.

მესამე პერიოდში პოლონელმა იასკურსკიმ მე-10 წუთზე რიგობრივი უპირატესობა გამოიყენა და ამ მატჩში ბოლო გოლი გაიტანა.

სალაშის მასპინძლებმა — ფინელმა პოკეისტებმა აუტსაიდერები — გდრის სპორტსმენები დაამარცხეს — 7:1 (3:0, 2:0, 2:1). პირველ პერიოდში მასპინძლებმა სამი „მშრალი“ გოლი გაიტანეს (კეტოლა — 2, რეპო). მეორე პერიოდში კვლავ კეტოლამ და ოლბერსკიმ სხვაობა შეარღვეს ანგარიში. მესამე პერიოდის მე-4 წუთზე გერმანელმა პეტრსმა ერთადერთი საპასუხო გოლი გაიტანა მატჩის კარში. ამის შემდეგ რიბანანტამ (მე-9 წუთზე) და მურტომ (14) განამტკიცეს თავიანთი გუნდის გამარჯვება.

ბომბარდირთა სიას ჯერჯერობით ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ორი წევრი ლიგურთა: ნელმანსკისა და მარტინეცის 11-11 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე არიან პეტროვი — 10 ქულა, მისალივი (ორივე — სსრ) — 9, პლინკა (ჩეხოსლოვაკია) — 8.

ოქროს და ბრინჯაოს

ნოშინ-სალო, 15 აპრილი. იუგოსლავიის ამ ქალაქში დამთავრდა ვეროის ჩემპიონატი შაიკიდის ჩოგბურთში. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა ოსტატებმა ორი ოქროს და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გუნდურ ტურნირში გაიმარჯვა სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა. შერეულ წყვილებში ჩემპიონობა ეს უკვე მეოთხედ დაისაკუთრეს მოსკოველებმა ს. რუდნოვამ და ს. გომიზოვამ, რაც ამ შეჯიბრების თავისებური რეკორდაა.

სხვა თანრიგებში პირადი შეჯიბრების ფინალში საბჭოთა სპორტსმენებიდან არააინ გასულა. ბოლო საფეხურები ვერ გადალახეს რუდნოვამ და მისმა თანაქალაქელმა ს. ფიოდოროვამ, რომლებიც ერთმანეთს შეხვედრაში კარგად გამოდიოდნენ. ისინი ნახევარფინალში გამოეთიშნენ ბრინჯაოს, მაგრამ ბრინჯაოს მედლები მაინც მიიღეს. ასეთივე შედეგი მოიპოვეს ქალთა წყვილებში რუდნოვამ და ა. ვედრიატიცემ (კუნიანი), ხოლო ვაჟთა წყვილებში — გომიზოვამ და ს. სარსოინამ (ბათუმი).

ქალებში კონტინენტის ჩემპიონის სახელი პირველად მოიპოვა უნგრელმა ჩოგბურთელმა ი. მაგოშმა, რომელმაც „შეაჩერა“ წინა პირველობაში გამარჯვებული რუდნოვა. ფინალში მაგოშმა მოუგო ახალგაზრდა შედ სპორტსმენს ა. კ. ჰელმანს. შედეგებს ვაჟთა შორის ჩემპიონობის „მონობილიური უფლება“ ჩამოართვა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა მ. ორლოვსკიმ, რომელმაც ფინალში დაამარცხა უნგრელი გ. გერგვი.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა, უნგრელებმა ი. იონერმა და ტ. კლამარმა ყველას აჯობეს ვაჟთა წყვილებში. ამასთან, მათ გაიმარჯვეს სიფლიო ჩემპიონებთან ს. ბენტონთან და ჩ. ოუკანსონთან (ორივე — შვედია) პრინციპულ ფინალურ ხესხედრაში.

შესანიშნავი უნგრელი მწვრთნელის ს. ბურციკის (იგი ახლა ქვეყნის ნაკრებს უდგას სათავეში) შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ქალთა წყვილების ფინალურ შეჯიბრებაში. ლაურიატები გახდნენ მაგოში და მ. მორტაღერი, რომლებმაც დაამარცხეს ა. გროფოვა (ჩეხოსლოვაკია) და მ. ალიქსანდრე (რუმინეთი).

გომიზოვი, სარსოინი, ერგენელი ბ. ბურნაზიანი და ლეოველი ა. სტროკატევი ვაჟთა შეჯიბრებაში მხოლოდ თექვსმეტ საუკეთესოს შორის მოხვდნენ.

ვეროის შემდეგი ჩემპიონატი პრაოში ჩატარდება 1976 წელს. (საკდესი).

შეჯიბრება გაინც სასარგებლო იყო

სპორტკლუბ „ფოლადის“ დარბაზში ჩატარდა ახალგაზრდების რესპუბლიკური პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. მეტალოურთა ქალაქში თავი მოიყარა ბევრმა ცხოველმა და ახალბედა ათლეტმა. მისასალმებელია, რომ რუსთაველი მოჭიდავეები გამოგზავნის სიღნაღამ და გურჯაანმა, ქალაქებმა, რომლებიც სხვა დროს თავს არიდებდნენ ამ ასპარეზობას.

სამდღიანმა შერეულობებმა პერსპექტიული, ნიჭიერი სპორტსმენები გამოავლინა. პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ სოსუმელი გ. ხარებავა, ორჯონიკიძე ი. იჩქიტიძე, ქუთაისელი ა. გოგინძე, თბილისელი თ. ლომიძე...

და მაინც, თუკაც ტურნირი ხალხმრავალი იყო, მოასპარეზებულ უმეტესობამ კარგი შედეგები ვერ დატოვა: დაბალი იყო ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადების დონე. გამოიკრვა, რომ რაიონის ბევრი მოჭიდავეს თურმე არ გააჩნია წვთის ელემენტარული პირობები. ეს ითქმის, ასე ვთქვათ, ქუთაისზეც კი, სადაც ერთი ნორმალური, თანამედროვე მოთხონების შესაბამისი დარბაზიც არ არის.

ტურნირის შემდეგ ვესაუბრეთ საქართველოს ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელსა და ასპარეზობის მთავარ მსახ. ნ. ხობაშვილს.

— შეჯიბრება, სამწუხაროდ, არასტანდარტულ ლეიბზე ჩატარდა, — თქვა მსაჯმა. — კვლარტულ ხალიჩას უკვე დიდი ხანი ხდარ იყენებენ საბჭოთა კავშირში. სათანადო დონეზე არც საქმიმ მომასპარეზება იდგა. ამის გამო შერეულობები დიდი დაკვირვებით იწყებოდა. მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ასპარეზობამ მისანი გა-

ამართლა. ჩვენ, მწვრთნელებმა, ვნახეთ, რა ნაკლი აქვთ რაიონების მოჭიდავეებს, რა უშლის ხელს მათს წვრთნას. შეჯიბრების შემდეგ ვისაბურთ ყოველივე ამაზე და კონკრეტული დონის მიხედვით დავსაბუთებ. იმედია, ახალგაზრდებთან მომუშავე მწვრთნელები აიხერხიან მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმეს.

გთავაზობთ ჩემპიონთა სიას წონითი კატეგორიების მიხედვით: ა. მერულიშვილი (რუსთავე), ა. კაპანაძე, მ. სითაროვი, რ. მურჩაშვილი, ტ. კიონაშვილი (ყველა — თბილისი), გ. ხარებავა (სოსუმი), თ. ლომიძე, ვ. მიქელაძე, მ. მგოციშვილი, გ. შავთვალაძე (ყველა — თბილისი).

ო. ჩხაიძე, სპორტის ოსტატი. (ჩვენი სტუ. კორ.)

რუსთავე.

სურათზე: აი, ასე ტექნიკურად და გაბეჯულად კიდაობდა სოსუმელი გ. ხარებავა.

რ. გაბრიუძის ფოტო.



მშდ... სურათებზე

მშდ ფიჭულტურული კომპლექსის საკავშირო საბჭოს წევრების მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა, უნგრელებმა ი. იონერმა და ტ. კლამარმა ყველას აჯობეს ვაჟთა წყვილებში. ამასთან, მათ გაიმარჯვეს სიფლიო ჩემპიონებთან ს. ბენტონთან და ჩ. ოუკანსონთან (ორივე — შვედია) პრინციპულ ფინალურ ხესხედრაში.

შესანიშნავი უნგრელი მწვრთნელის ს. ბურციკის (იგი ახლა ქვეყნის ნაკრებს უდგას სათავეში) შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ქალთა წყვილების ფინალურ შეჯიბრებაში. ლაურიატები გახდნენ მაგოში და მ. მორტაღერი, რომლებმაც დაამარცხეს ა. გროფოვა (ჩეხოსლოვაკია) და მ. ალიქსანდრე (რუმინეთი).

გომიზოვი, სარსოინი, ერგენელი ბ. ბურნაზიანი და ლეოველი ა. სტროკატევი ვაჟთა შეჯიბრებაში მხოლოდ თექვსმეტ საუკეთესოს შორის მოხვდნენ.

ვეროის შემდეგი ჩემპიონატი პრაოში ჩატარდება 1976 წელს. (საკდესი).

რად შეასრულოს თავისი პროგრამა.

... შარშან ეტონეთის 26500 მოსწავლემ მიიღო მშდ კომპლექსის შიგ დაბეჭდილია ფურცლი სურათები: გოგო და ბიჭი დილის ვარჯის ასრულებენ. ეს ალბომები თან ჩამოიტანეს ეტონეთის წარმომადგენლებმა, რომლებიც საბჭოს თავიანთი მუშაობის შედეგად აბარებდნენ ანგარიშს.

ეტონეთში ყოველმა მოსწავლემ თვითონავე შექმნილია მშდ კომპლექსის ნიშნისანი გახდა. პოპულარულია ხახვოლო თანის გათამაშებები კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთისა და მძლეობისაში.

ეტონეთის ბევრი რაიონი და სკოლა კარგად სპორტული მოშაობისთვის აწესებს პიჯეტებს და სპეციალურ ვიდეოფილმებს, როგორცა, მაგალითად, „საუკეთესო სპორტსმენი“, „მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩაბარებაში საუკეთესო კლასი“.

ქალაქს არც ზოფელი ჩამორჩა. მაგალითად, კონტა-იარვის რაიონის პიუსის საშუალო სკოლაში ერთი წლის მანძილზე ჩატარდა 52 შეხვედრის კვირეული „მშდ კომპლექსის“ ამ შეჯიბრების წარმატების ნიშნისანი 20 ათასი ახალგაზრდა ფიჭულტურული მშდ კომპლექსის ნიშნისანი გახდა. პოპულარულია ხახვოლო თანის გათამაშებები კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთისა და მძლეობისაში.

ეტონეთის ბევრი რაიონი და სკოლა კარგად სპორტული მოშაობისთვის აწესებს პიჯეტებს და სპეციალურ ვიდეოფილმებს, როგორცა, მაგალითად, „საუკეთესო სპორტსმენი“, „მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩაბარებაში საუკეთესო კლასი“.

3. ნიკიფორიძე. (საკდესის კორ.).

შეჯიბრება

შვეიცის ნაკრებმა ანგარიში 3:0 (1:0, 0:0, 2:0) სძლია ჩეხოსლოვაკიის ერთგულ გუნდს. მატჩი ჩეხოსლოვაკიის პოკეისტთა ერთგული ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ შვედები კარგად ახორციელებდნენ კონტრიტინებს. შიბები გაიტანეს სიფლიტრიონმა, ოლბერმა და ს. კარლსონმა.



საქართველო

3. ივანოვი

პელსინის შემდეგ ნაკრები ვაქტიურად მოქმედებს. პორტოგალი კი უკვე მეტწილად მოიხრდა. მორიგი ოლიმპიადის კონტრები სულ უფრო ნათლად იხატება. ყველაზე მეტად გარდა ფეხბურთელებისა, დაიწყო 1954 წელი, ნაკრები კი ქალაქულად არ არსებობდა. და აი, როგორც იქნა, ცნობილი გახდა ახალი უფროსი მწვრთნელის გვარი — კაჩალიძე.

ბუნებრივია, თავიდან მან სავარჯიშოდ უამრავი ფეხბურთელი მიიწვია: საჭირო იყო, თუნდაც ზოგადად, მომავალი გუნდის თავდაპირველი გარეგნული შედგენა. ამ ხუთ თვეს ათეულ ფეხბურთელში მოხვედრა არც ისე ძნელი იყო. მათ შორის მე და სტრელცოვიც ვიყავი. ჩვენ გვიწვევდნენ ვარჯიშებზე, იოლ მატჩებზე, მერე უნდა გვემუშაებინათ, მერე ისევ გვიწვევდნენ.

ამ პერიოდულ გამოცდებებზე მე მაინცდამაინც დიდ იმედებს არ ვაყარებდი. ოცი წლის ვიყავი და ვაჟობობდი, რომ ჩემი დრო, თუკი მოვი-

დოდა, მოვიდოდა ბევრად უფრო გვიან, რომ ჩემთვის ჯერ კიდევ ადრე იყო სიმონიანისთან, ისაევისთან, მამედოვისთან ოსტატებთან შევიდოდა, რომ ჯერ კიდევ არ შემწვებდა ნეტოს, ვილინისა და ბაშაქინის გვერდით თამაშის ძალა. ერთი სიტყვით, „შორეულ“ სათადარიგო შემადგენლობაშიც რომ არ მოხვედრილიყავი, თავს უბედურად არ მივიჩნევდი.

მით უმეტეს სასიამოვნო და მთელდღესი იყო ჩემთვის ცნობა, რომ კაჩალიძემ შემეყვანა ნაკრებში, რომელსაც ხანგრძლივად, 45-დღიანი ტურნე უნდა ჩაეტარებინა ინდოეთში. ორი შემადგენლობით მივდიოდით და თვითმეტყველებდით უნდა გვეთამაშა. ჩვენი მწვრთნელის მიზანი ნათელი იყო: ამ თამაშებში უნდა დაბადებულიყო საბჭოთა კავშირის ახალი ნაკრები, უფრო სწორად — ვაშლიანი უფროსი ჩონჩხი.

ასე ბედნიერად დაიწყო ჩემთვის 1955 წლის ზამთარი. საქმე მერვე მწვრთნელად მიდიოდა. მე მონაწილეობა მივიღე მატჩ-

ბის უმეტესობაში, ბედი მწყალობდა, ბურთიც ბევრი გავიტანე და შან ნაკრების ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ დაგვრუნდი. ეს მაშინ, როცა ჯერ მხოლოდ 20 წლისა ვიყავი რაღა თქმა უნდა, ნეტარების ძველ რვაზე ვიდექი.

ზაფხულში კარაჩინმა კიდევ რამდენიმეჯერ მოგვიყარა თავი. საზღვარგარეთ გავემზავრეთ, უცხოურ კლუბებს შევხვედით, და მე ამ მატჩებში ვმონაწილეობდი.

გაცსარებული სეზონი იყო, შუა ზაფხული. დაიწყო მზადება გერმანიის ნაკრებთან მატჩისთვის, მატჩისთვის იმ გუნდთან, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის წოდებას ატარებდა, მატჩისთვის, რომელიც სამუდამოდ შევიდა ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში, რომელიც მისი ნიშანდევნი გახდა, რომელმაც დაამტკიცა, რომ ჩვენი ნაკრები ისევე არსებობდა, ისევე სპორტსმენურად იყო და ძლიერი გუნდი იყო, მატჩისთვის, რომლის ქველა დეტალი დღესაც ახსოვთ ფეხბურთის მოყვარულებს, რომელშიც მე არ მიიღია მონაწილეობა, რომელიც მე არ მინახავს, რომლის შედეგიც რადიორეპორტიდან შევიტყვე.

ამ მატჩამდე ორი კვირით ადრე ცსკა-სთან საწვრთნელი მატჩისთვის შეგვკრიბეს. რომელიც სრულიად უმნიშვნელო ეპიზოდში, რომლის მსგავსიც უამრავია ნებისმიერ მატჩში, ცსკა-ს ნახევარმცველს ალექსანდრე პეტროვს დავეჯახე. ფეხი გადამიბრუნდა. ადრე ვიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. მთარბენიეს საკაცე. მატჩი კიდევ გრძელდებოდა, როცა სახიფათო ლმა მანქანამ ტრავმატოლოგიის კენტრალურ ინსტიტუტში მიმიყვანა. დიანოზა: მენისკის დაზიანება. ოპერაციას პროფესორი ლანდა მიკეთებდა, იმ დროს მენისკების ყველაზე გახშირებული სპეციალისტი, ცნობილი ზოა მირონოვას წინამორბედი. ოპერაცია სამ საათ-ნახევარზე გაგრძელდა. ხარისხი აღარ მოქმედებდა, მე კი მჭრიდნენ და მჭრიდნენ.

საქმე ისაა, რომ რენტგენის მაჩვენებლების მიხედვით მენისკი დაზიანებული იყო მარჯვენა ფეხის მუსკლი მარცხენა მხრიდან, მე კი ტკივალს მარჯვენა მხარეს ვგრძობდი. პროფესორმა ხელსაწყოებს დაუჯერა და ჭრილი მუსკლის შიდა მხარეს გააკეთა. საუბედროდ, ხელსაწყოები შეცდნენ, ლანდამ გადაწყვიტა მენისკი მაინც ამ ჭრილიდან ამოღო და ფეხზე კიდევ ერთხელ დაიხივა ლანცეტი. ფეხს წვალდა დაუწყეს ტკივილისგან უკვიროდ. უქმები ყოველნაირად ცდილობდნენ მიეღწიათ მენისკამდე, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. პროფესორი მიზუსტ მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა დაადგინა, რომ მენისკი, უზარლოდ დაზიანებული კი არა, დასსვერული იყო. ახლა ვქმები იმდებულები გახდნენ ძველი ჭრილი გაეკრათ და მუსკლი მთლიანად გაეკრათ. ოპერაციის შემდეგ საათი გადიოდა. ნოვოკაინის მოქმედებამ მთლიანად გაიარა, მე კი მუსკლს მიწმენდნენ, ნამსხვრევებს იღებდნენ, ჭრილობას კერავდნენ. ვიოლი, გვიოლი საზარელი ხმით (არ გიცი ხაიდან მქო-

ნდა ამდენი სურვილი მქონდა, ფეხისა და მთელი კიდურის ტენიის ლილი ფილიპოვის დიდი ბებს. ლილია ფილიპოვა კრილიაზე კანონიერ ნაკრებს მადებდა და, როგორც კეთილი ძიძა ვიქცეოდი, ისე მაწყვარებდა:

— აბა, დამწვიდოდი, საყვარელო, დამწვიდოდი. ახლავე გადავიყვანო პალატაში, დაგასვენებ, მოგარჩენთ და კიდევ ას წელიწადს ითამაშებ. ნატკენი ფეხი დაგაიწყდება. უწინდელზე უკეთ ირბენ...

გვიან, უკვე მრავალი წლის შემდეგ, მე და ლილია ივანოვა ყოველი შეხვედრისას ვისხუბვდით მის კეთილ წინასწარმეტყველებას და იგი მუდამ მეტივხებოდა:

— აბა, რას შეგები, როდის ანებებ თავს ფეხბურთს?

მაშინ იგი ყველაფერზე მართალი იყო, გარდა ერთისა: ნატკენი ფეხი არ დამეწყვიდა. მუსკლს ბოლომდე დღესაც ვერ ვხრი. ზოგჯერ მისივდებოდა კიდევ. ცოლი კი — მის თვალს, რასაკვირველია, არც ერთი ჩემი ნაკლი არ გამოვარება — ამტკიცებს, სიარულისას მარჯვენა ფეხით კოჭლობო. შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ თავს იმით ვიშვებებ, რომ სხვები ამას ვერ ამჩნევენ...

ოპერაციებზე ჩემი ტანჯვა-წაპება ამით არ დამთავრებულა. საჭირო იყო ფეხის დამუშავება, მაგრამ პროფესორი ვარჯიში არ მშველდა — მუხლი 90 გრადუსზე მეტად არ იხრებოდა. ერთი თვის შემდეგ მაცნობეს ჩემი მტანჯველ მარჯვენა ფეხის ახალი განაჩენი: ძვალი უნდა გაგტეოთ. თურმე იქ, შიგნით, სისხლის პატარა კოლტები ჩარჩენილიყო, გაქვავებულიყო და ფეხს მოძრაობას უშლიდა. მათს ამოსაღებად აუცილებელი იყო ახალი ოპერაცია...

მე ალბათ ყველაფერს ცოტა არ იყოს უგერგილოდ ვყვები და მედიცინის მუშაკები ამ მონაცემს უამრავს შეუსაბამობას იპოვიან. მაგრამ მე მედიცინაში პროფანი ვარ და არც მას შემდეგ მომხატებია განათლება, რაც საავადმყოფოს საწილო ვეზე. ჩემი ავადმყოფობის ისტორიის შესწავლა მამინაც კი არ დამეწყია, როცა ახალი ოპერაციის საშიშროება დადგა. მე ყველაფერში ვინ ვეჭვებ და ამას ოდნავაც არ უნანობ. ბოლოს და ბოლოს, მათ დამაყენეს ფეხზე და ჩემი თავი ფეხბურთის დაუბრუნეს (იქნებ აჯობებს ვთქვა: ფეხბურთი და მიბრუნეს-მეთქი?).

მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, კიდევ ბევრმა წყალმა გაიარა.

ახალი ოპერაცია. ისევ საწილოში კოტრალი, მერე — ყავარჯნები, მერე — ჯიბი. ეს ივლინი იყო, ხოლო იანვრამდე ხულ იოლი ვარჯიში კი კატეგორიულად აკრძალული მქონდა.

ამასობაში სეზონი გრძელდებოდა და „ტროპედი“ თავდაუსოგაოდ იბრძოდა ყველაზე მომხატებელი მენისკის მისაღწევად, რომელიც კი ოდესმე დაუსასვს. „ა“ კლასში დარჩენისთვის. ნაკრები ემზადებოდა ზამთარში ისევ საზღვარგარეთ, ამქვარად ეგვიპტეში, გასამგზავრებოდა.

მე კი იმ ერთმა უზარო დაავადებამ თვალის დაზიანებებში მაყვარებოდა მატკია. მივიღე „დინამოს“ სტადიონზე, ავირჩევი მყუდრო ადგილს, სადაც ნაკლებად იკვრებინებოდნენ ხელებს, გავშლიდი ჩემს მრავალტანჯულ ფეხს, გვერდით ჯიბს მოვიდებოდი და ვუყურებდი საკუთარი გუნდის თამაშს ის კი მატჩს მატჩზე ავებოდა. ჩემპიონატის ფინალზე სამიმი მდგომარეობა შექმნა.

(გაგრძელება იქნება)



14 აპრილს სტარტი აიღო „ა“ კლასის II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებამ, რომელშიც საქართველოს გუნდები არიან გაერთიანებული.

„დინამო“ (ბათუმი) — „დილა“ (გორი) 2:0
გათამაშების პირველ მატჩს ბათუმში საუცხოოდ ამინდი დაეწრო, ფეხბურთის მოყვარულებმა გააცეს ზღვის პირას მდებარე სტადიონის ტრიბუნები.

დინამოლებმა საგრძობი უპირატესობით დაიწყეს თამაში. უკვე მე-2 წუთზე „დილამ“ კუთვნივ გადაყვანით იხსნა კარი ბეჟანისის დარტყმის შემდეგ. გავიდა კიდევ ორი ოდენ წუთი და სტუმრებს უკვე ცენტრიდან მოუსვიათ თამაშის დაწყება: ქიქვაემ გამბოლი ბურთი მია-

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშება დაიწყო

წლის კარის წინ, იქ კარგად შეარჩია ადგილი კირგალიძემ და ეს კომბინაცია გოლით დამთავრდა.

წარმატების შემდეგ დინამოლებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შეტევა, მე-18 წუთზე გიორგიანისა და ჩიქვამძის შორის გათამაშებული ბურთი ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დამთავრდა — 2:0.

შეხვედრის შემდეგ ერთსა კვლავ ბათუმელები ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ შემდგომში გორელებმა გააძლიერეს ბრძოლა და თამაშმა უკვე მასპინძელთა მხარეს გადაინაცვლა. გორელებმა ვერ შეძლეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის გამოყენება და ვერც ანგარიში შეიტანეს ცვლილება. ბათუმის „დინამომ“ პირველი გამარჯვება ჩაიწერა სატურნირო ცხრილში.

ალსანიშნავია თბილისელი მ. ჩიფჩიაურის კარგი მსახობა.

„კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:1

პირველი 15 წუთი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა და ბურთი სწრაფად გადადიოდა ერთი ნახევრიდან მეორეზე. შემდეგ „კოლხეთმა“ მოა-

წესრიგა ურთიერთმოქმედება და სტუმრების კარი ხანგრძლივი იერიშის ობიექტად იქცა. ერთ-ერთ მომენტში მეკარე პასანოვს ხელიდან გაუკარდა ბურთი, მაგრამ არჩინა ვერ შეძლო ამ მომენტის გამოყენება. შემდეგ სახიფათო პოზიციაში გავიდნენ ცაავა, სანაია, მალე ფილიამ ძელს მოახვედრა ბურთი, 39-ე წუთზე კი მეკარესთან პირისპირ გასული ცაავა უხეშად წააქციეს „დინამოს“ მცველებმა. პენალტი კარგად გამოყენა ჩიქვამძე — 1:0.

ტაიმის ბოლო წუთზე სტუმრების მეკარე პასანოვი ხელიგზურად მოიქცა, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტავროპოლებმა წარმატება მოუტანა: ბოტკოვის დარტყმული ბურთი მოსვდა „კოლხეთის“ ერთ-ერთ მცველს, შეიცვალა მიმართულება და ბადეში აღმოჩნდა — 1:1.

მატჩის ბოლომდე ფოთელებს არაერთ ხელსაყრელი მდგომარეობა ჰქონდათ კვლავ დაწინაურებისთვის, მაგრამ როსვადისა და ფილიას დარტყმული ბურთები შეღს მოსვდა, სახიფათო მომენტები არ იქნა გამოყენებული და ანგარიში ბოლომდე უცვლელი დარჩა.

ბ. ბასილაია.

17 აპრილს — იუგოსლავიის ნაკრებთან

მოსკოვი, 14 აპრილი. 17 აპრილს იუგოსლავიაში სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები თავის პირველ საერთაშორისო მატჩს გამართავს წლეულს. იუგოსლავიის ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ ამ ქვეყანაში გაემგზავრებიან: მეკარეები პილგუი და რუდაკოვი, მცველები ძოძუაშვილი, ხურცილაძე, ოლშანსკი, ლოვჩივი, ბუკიევიჩი და კამლინი, ნახევარმცველები მუნტაჩანი, კოლოტოვი, ვერეშევი, ტროსკინი, ფედოტოვი, კონკოვი, ზანაზანაი და მ. მაჩაიძე, თავდასხმელები ონიშჩენკო, ბლოხინი, იშტოიანი და ყიფიანი.

ნაკრების მწვრთნელები არიან კ. ბესკოვი და ა. პარამონოვი.



რიო-დე-ჟანეირო, 14 აპრილი. საფინალო სასტენამდე 5 წუთით ადრე გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა მარაქიანსა-

ერთადერთი ბურთი

სტადიონზე ბრაზილიისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების ახანაგური მატჩის ბედი.

შეხვედრას, რომელიც ძლიერი წვიმის შემდეგ დამბალ საფეხბურთო მიწებზე მიმდინარეობდა, 80 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

ბულგარელთა კარში ბურთი ბრაზილიელთა მარჯვენა გარემარბმა ეიარზინომ გაიტანა.

მიზანი: ექვსსაუბლო გასვლა

მოსკოვი, 12 აპრილი. ცსკა-ს აუზში დაიწყო იურიორ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი თამაში. შეჯიბრების პირველ დღეს მოწინავე ექვსეულში გასვლის ძირითადი პრეტენდენტები შეხვდნენ ერთმანეთს, ეს მესამე კი შემოდგომზე შედღე-

ბისთვის გააჩაღებს ბრძოლას.

შარშანდელ ამგვარ ტურნირში გამარჯვებულმა — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყობის სპორტკლუბის გუნდმა ანგარიშით 7:5 სძლია ალმა-ათის „დინამოს“, 12 ქულა დააგროვა და გათამაშების ერთმანეთსუი ლდერი გახდა.

კიევისა და მოსკოვის დინამოელთა შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 3:3. კიეველებს 10 ქულა აქვთ, მოსკოველებს — 9.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (ლვოვი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) 6:3, კას-

ბის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) — „დინამო“ (სარკოვი) 5:5, „ტროპედი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 8:7.

წააღებული

• KOPANA • ФУТБОЛ • ჟანსუკით • LAB & ARUGAS •



ფინალისტთა საქმეები

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვე დარჩა, შავი მანარნი... კი გასცხარებულ საქმიანობაშია.

ჩემპიონატის ორგანიზატორები გაოცებული არიან: საიდან გაჩნდა ამდენი ბილეთი? სალონებში სომ ერთ კაცს 2 ბილეთი შეეს არ ყიდდნენ?

სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწვევის სტადიონზე პატარა რეკონსტრუქციული სამუშაოები მიმდინარეობს.

მსოფლიო ჩემპიონატის პრესცენტრში აკრედიტებული იქნება 2500-ზე მეტი ჟურნალისტი და ფოტორეპორტიორი, რადიო- და ტელეკომენტატორი.

შვეციდან — 100, პოლანდიდან — 80... ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ფინალურ მატჩზე პრესის ლოჯაში მხოლოდ 1200 საშვია გამოყოფილი.

გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელთა უკმაყოფილოა გუნდის თამაშში აღვირის ამასწინანდელ საერთაშორისო ტურნირში.

არგენტინის ნაკრები 14 მოთამაშის შევადგენლობით შეუდგარეგულარულ მზადებას, თუმცა ცნობილია, რომ საბოლოო განაცხადში 22 კაცი უნდა იყოს.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ გერმანიის ნაკრები ვარჯიშობენ კვირის ორჯერ, 18 აპრილიდან წვრთნა ყოველდღიური იქნება, ხოლო ევროპაში გამგზავრება ნაგარაუდგია 20 მაისისთვის.

ჩვენთვის საინტერესოა არაა ფიფას-ს თასის მოპოვება, მაგრამ ვალდებული ვართ ღირსეულად გვეჩვიროს მსოფლიო ჩემპიონის დროს, — განაცხადა ბრაზილიელთა მწვრთნელმა მ. შავალომ. ეტყობა, იგი თავს იზღვევს უფრო კონკრეტული დაპირებებისგან.

იტალიელთა მწვრთნელმა ფ. ვალკარემ კი ასეთი კომენტარი გააკეთა: „ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ბრაზილიის ნაკრები ახლა უფრო სუსტი იქნება, ვიდრე ოთხი წლის წინათ იყო შექსიკაში. გაიზინიო, პაულო ცეზარი, რიველინი და სხვანი საუკეთესო ფორმაში არიან.“

ი. კრუიფმა, პოლანდიელთა მთავარმა იმედმა მომავალ ჩემპიონატში, თავისი ფეხები დააზღვევა 650 ათას დოლარად. ამასთან დაკავშირებით ესპანური გაზეთები წერენ: „ნათუე „მფრინავი პოლანდიელი“ ყველაზე ძუნწი ფეხბურთელია მსოფლიოში? რა არის მისთვის 650 ათასი დოლარი?“

შვეიცის ფეხბურთის ფედერაცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ტორსტენსონი საუცხოოდ თამაშობს მიუნხენის „ბაერნიში“, ხოლო სანდბერგი — „ჰაიხერსლაუტერნიში“. ორივემ თავი გამოიჩინა ბოლო ტურებში. ტორსტენსონიც და სანდბერგიც შვეიცის ნაკრებს შეუერთდებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

ჩემპიონატი, მატჩები, სტადიონი

ინგლისი

გასულ შაბათს „ლიდ იუნაიტედმა“ სტუმრად ფრედ (0:0) ითამაშა „კოვენტრი სიტისთან“.

ლონდონის „ტოტენჰემი“ კოტსუპრმა შინ აჯობა (3:1) „საუთემპტონს“ და XV ადგილზეა. ლონდონელთაგან მეტოქის კარში გოლები გაიტანეს თბილისელთათვის კარგად ცნობილია ჩივერსმა (2) და პრატმა.

„ლიდ იუნაიტედ“ თ. ბ. ქ. „ლიდ იუნაიტედი“ 38 60:29 55 „ლივერპული“ 35 44:25 51 „დერბი“ ქაუნთი“ 38 49:36 44 „იფსვიჩ თაუნი“ 38 63:54 43

შაბათს გლასგოს „სელტიკმა“ სტუმრად აჯობა „დანდი იუნაიტედს“ — 2:0.

„გლასგო რეინჯერსმა“ შინ წააგო „დანდისთან“ — 1:2.

საკუთრებს სნაიპერია დიქსი დინსი („სელტიკი“) — 27 ბურთი. დონალდ ფორდი („პართ ოვ მიდლტონენი“) 26 გოლით მეორეა.

გამთარი ბააცილუსი



უკან დარჩა 26 ათასი მილი

როგორც მოსალოდნელი იყო, დედამიწის ირგვლივ რბოლა პირველმა დაამთავრა კაპიტან კ. ბლასის ნავმა „გრეიტ ბრიტან II“.

ბერლინი, 14 აპრილი. 20

კომპიუტრზე სპორტულ სიარულში ოლიმპიურმა ჩემპიონმა პ. ფრენკელმა (გდრ) აქ გამართულ შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდები დაამყარა ორსაათიანი სიარულში და 30-კილომეტრიან მანძილზე. ამ 34 წლის სპორტსმენმა 2 საათში 26 კმ და 920,1 მ (ძველი რეკორდი იყო 26.911,6) დაფარა, ხოლო 30 კმ 2 საათში, 14 წუთსა და 21,2 წამში გაიარა (ძველი მსოფლიო 25 წამითაა გაუმჯობესებული).

Table with 2 columns: Team/Match, Score. Includes matches like „სელტიკი“ 28 72:24 45, „გლასგო რეინჯერსი“ 29 55:28 39.

Table with 2 columns: Team/Match, Score. Includes matches like „ნაპოლი“ შინ ფრედ ითამაშა, „ლაციოსთან“ — 3:3.

Table with 2 columns: Team/Match, Score. Includes matches like „ლაციო“ 24 36:17 35, „უენტურსი“ 24 37:21 32.

Table with 2 columns: Team/Match, Score. Includes matches like „როტერდამის“ „ფეინორდმა“ თავის მინდორზე მოგვო „როდას“.

Table with 2 columns: Team/Match, Score. Includes matches like „ფეინორდი“ 29 83:25 48, „ტვენტე“ 29 52:16 48.

Table with 2 columns: Team/Match, Score. Includes matches like „მიუნხენის“ „ბაიერნმა“ შინ ფრედ ითამაშა.

Table with 2 columns: Team/Match, Score. Includes matches like „ბაიერნი“ 29 84:47 42, „ბორუსია“ 29 76:48 41.

Table with 2 columns: Team/Match, Score. Includes matches like „27 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია: „ანდერლექტი“ (ბრიუსელი) 26 64:29 38.

Table with 2 columns: Team/Match, Score. Includes matches like „შვეიცარია“ „ციურიხმა“ შინ მოგვო „ლეგანოსი“ — 4:0.

Table with 2 columns: Team/Match, Score. Includes matches like „ციურიხი“ 18 38:13 31, „ნეშატელ შსაჰსი“ 17 32:22 21.

ჩემპიონატი, მატჩები, სტადიონი

გათამაშების ლიდერმა „ნაგლეზერმა“ თავის მინდორზე სძლია ოლერის ფრანკფურტის „ფორვერტსს“ — 3:2.

ლაიპციგში ადგილობრივმა „ლოკო-მოტივმა“ აჯობა აუეს „ვისუტს“ — 3:2.

ტურის ცენტრალური შეხვედრა სოფში ადგილობრივ „რუსსა“ და ზაბეს „გერნაჰს“ შორის ლიდერის „რუსის“ გამარჯვებით დამთავრდა — 3:0.

„რუსი“ 19 41:11 30 „ვისლა“ (კრაკოვი) 20 26:15 26 „სტალი“ (მელეცი) 20 32:12 25.

„ლეგია“ (ვარშავა) 20 27:15 25 „გურნიკი“ (შაბე) 20 30:19 24

25 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია: „ლეგია-სპარტაკი“ (სოფია) 25 52:22 43 „სკა“ (სოფია) 25 41:20 38 „მტარი“ (ტირნოვი) 25 34:21 29

XXVI ტურში მარშანდელმა ჩემპიონმა — ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ შინ მოგვო „ბორსი“ — 5:0.

„ველცი“ (მოსტარი) 26 42:29 33 „პაილუკი“ (სპლიტი) 26 38:20 32 „ცრვენა ზვეზდა“ 26 54:37 31

სურათზე: ძნელი ფინიში. ა. იაკოვლეს ვოტკეტული. (საკელსი).

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

18 აპრილს ქადრაის სასახლეში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევო პლენუმი.

ბადრაის მოყვარულთა საკუროლდებო! თბილისის ქადრაის სასახლის (ლენინის ქ. № 37) დირექტორ აწურობს ქადრაში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — სპასი — კარპოვისა და პეტროსიან — კორჩნოს ნახევარფინალურ მატჩებში გათამაშებული პარტიების დემონსტრაციას.

პარტიების უჩვენებენ სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 20 საათიდან. მათ კომენტარს გაუკეთებენ ცნობილი თბილისელი ოსტატები.

მიულარი ემუქრება ნორდლის რეკორდს

ვინ არის „გოლები მეფე“ ფეხბურთის ისტორიაში, თუ ერთდროულ ნაკრებში ჩატარებულ მატჩებს ავიღებთ საზომად? გთავაზობთ სტატისტიკურ ცხრილს, რომელშიც გამოჩენილი ფეხბურთელების შედეგებია ნაჩვენები.

Table with 4 columns: Player Name, Goals, Assists, Points. Lists players like 1. ნორდლი (შვეიცია) 43 goals, 2. მიულარი (გერ) 63 goals, etc.

როგორც ხედავთ, ცხრილშია სულ რამდენიმე მოქმედი ფეხბურთელია — მიულარი, პელე, რიგა, ლოუ. მათგან პელე უკვე გამოყოფილია ნაკრებს და, ამდენად, შედეგს ვეღარ გააუმჯობესებს ლოუ აპირებს მონაწილეობა მიდოს წლევენდელ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც მისთვის ალბათ უკანასკნელი იქნება. იგივე ითქმის რიგაზეც.